საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 4 თებერვლის №74 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე, შესაბამისად, მათი 2015 წლის ბიუჯეტებისა და საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს საკითხი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებისა და 2015 წლის ბიუჯეტებისა და საშტატო განრიგების დამტკიცების შესახებ, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2015 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №09-1/62/8 ხელშეკრულების საფუძველზე ირკვევა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 2015 წელს დაფინანსებას გეგმავს, პროგრამული დაფინანსების წესით, „საქართველოს 2015 წლის სახელ-მწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის №59 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსება შეადგენს 5 069 390 ლარს, რაც ექვემდებარება ბიუჯეტის გაზრდას აღნიშნული თანხით — 5 069 390 ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2015 წლის ბიუჯეტები, საშტატო განრიგები და შრომის ანაზღაურების ფონდები, კერძოდ:

1.1. ბიოტექნოლოგიის ცენტრი: ბიუჯეტი - 145 300 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 16; შრომის ანაზღაურების ფონდი - 111 600 ლარი;

1.2. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 549 600 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 53; შრომის ანაზღაურების ფონდი - 383 200 ლარი;

1.3. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება: ბიუჯეტი - 27 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 3; შრომის ანაზღაურების ფონდი - 22 200 ლარი;

1.4. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 209 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 19; შრომის ანაზღაურების ფონდი - 150 600 ლარი;

1.5. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 472 200 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 68; შრომის ანაზღაურების ფონდი - 433 400 ლარი;

1.6. ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 1 139 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 159; შრომის ანაზღაურების ფონდი - 1 030 800 ლარი;

1.7. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 470 500 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 52; შრომის ანაზღაურების ფონდი - 366 500 ლარი;

1.8. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი: ბიუჯეტი - 234 100 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 24; შრომის ანაზღაურების ფონდი - 189 600 ლარი;

1.9. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი: ბიუჯეტი - 42 200 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 3,5; შრომის ანაზღაურების ფონდი - 35 700 ლარი;

1.10. ინსტიტუტი „ტალღა“: ბიუჯეტი - 96 400 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 13,5; შრომის ანაზღაურების ფონდი - 92 000 ლარი;

1.11. ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 456 500 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 65; შრომის ანაზღაურების ფონდი - 352 300 ლარი;

1.12. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 272 000 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 35; შრომის ანაზღაურების ფონდი - 201 600 ლარი;

1.13. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 106 900 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 15,5; შრომის ანაზღაურების ფონდი - 80 300 ლარი;

1.14. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის ინსტიტუტი: ბიუჯეტი - 456 800 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 69; შრომის ანაზღაურების ფონდი - 406 600 ლარი;

1.15. ინსტიტუტი „ტექინფორმი“ : ბიუჯეტი - 264 300 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 33; შრომის ანაზღაურების ფონდი - 209 000 ლარი;

1.16.კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი:ბიუჯეტი - 126 990 ლარი; საშტატო ერთეულის რაოდენობა - 10; შრომის ანაზღაურების ფონდი - 74 040 ლარი.

2. წარმოდგენილი ბიუჯეტებისა და საშტატო განრიგების პროექტების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2015 წლის პირველი იანვარი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე